


დამტკიცებულია სამეურვეო  
საბჭოს მიერ

# სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა

სკოლის თვითშეფასებისა და ხარისხის მართვის  
მარეგულირებელი დოკუმენტი  
(სტრატეგიული განვითარების გეგმა)



2016-2022 წლები

ქ.ბათუმი



2016 წელი

## შესავალი

სკოლის თვითშეფასების მიზანია მისიის „ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოყენება – განვითარების ხარჯზე, მოიზიდოს შესაბამისი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები – მისცეს მათ საბაზისო ცოდნა, რომელთაც შეეძლებათ მიღებული ცოდნის რეალიზაცია მომავალ საქმიანობაში და დააკმაყოფილებს იმ დროისთვის არსებულ ინდივიდუალურ, საზოგადოებრივ და სახელმწიფო მოთხოვნებს“ მისაღწევად ახალი მიდგომებისა და იდეების ძიება და მისი დანერგვის პროცესი. შესაბამისად იცვლება სკოლის საზოგადოების შეხედულებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განახორციელოს სკოლამ თავისი საქმიანობა კარგად ან საუკეთესოდ. ამდენად ეს დოკუმენტი წარმოადგენს სკოლის მუდმივ თვითშეფასების, ცვლილებებისა და ინოვაციების დანერგვასა და ეფექტურ უზრუნველყოფას .


შესაბამისად სკოლის თვითშეფასების პროცესი იწყება სტრატეგიული ანალიზით, რომლის საფუძველზე სკოლა ადგენს სკოლის განვითარების გეგმას, სადაც დეტალურად არის აღწერილი მომდევნო ერთი ან ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა და მთავრდება სამუშაო პროცესის მართვისთვის მონაცემების მოპოვებისა და გამოყენების სისტემის შემუშავებით.



# სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა

საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების

პროგრამა



2016–2022 წლები.



**საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის  
საჯარო სკოლის განვითარების პროგრამა 2016 – 2022 წწ**

ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის 2016 – 2022 წწ განვითარების პროგრამა (შემდგომში პროგრამა) არის 2016 – 2022 წლების საგანმანათლებლო დაწესებულების სამოქმედო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ინოვაციური გარემოს წინსვლითი განვითარება და მიღებული შედეგების განმტკიცება.

პროგრამის განმახორციელებელია სკოლის ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგთა და მოსწავლეთა კოლექტივები, მშობელთა საზოგადოება.

**I. პროგრამის რეალიზაციის ვადებია 2016 – 2022 წ.წ.;**

**II. პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები.**

სავარაუდო ხანგძლივი პროგრამის რეალიზაციის შედეგად სკოლის გარემო გახდება უფრო ღია, თვითგანვითარების, სტაბილიზაციის და დაგროვილი გამოცდილების გამოყენებისათვის. განათლების ახალი ფილოსოფიის საფუძველზე, სკოლის მასწავლებელთა ტექნოლოგიების, თემატურ – საგაკვეთილო საგნების სწავლებაში გამოცდილების შემდგომი განვითარება საფუძველს ჩაუყრის პიროვნების, სოციალისა და რეგიონალური პოლიტიკის მოთხოვნების (დემოკრატიის განვითარება) დაკმაყოფილებას.

**III. პროგრამის რეალიზაციის მექანიზმი**

პროგრამის რეალიზაციის მექანიზმი ითვალისწინებს ყოველწლიური სამუშაო დოკუმენტის შედგენას – მოქმედების კონკრეტულ გეგმას, რომელიც გამომდინარეობს პროგრამის ღონისძიებეთა სისტემიდან, რაც ითვალისწინებს შემსრულებელთა საქმიანობის გამიჯვნას, დაფინანსების წყაროებისა და ოდენობის განსაზღვრას, პროგრამის ძირითადი დანაყოფების მონიტორინგის ჩატარებას.

**IV. პროგრამის რეალიზაციაზე კონტროლს ახორციელებს სკოლის სამეურვეო საბჭო, საერთო სასკოლო კონფერენცია.**

მოცემული პროგრამის, როგორც მართვის ინსტრუმენტის, მიზანია ინოვაციური თვითგანვითარებადი საგანმანათლებლო სკოლის გარემოს შემდგომი განვითარება და ოპტიმიზაცია. პროგრამას საფუძვლად უდევს მიღწეული შედეგების განმტკიცება და განათლების მოდელების შინაარსის, მისი მართვის სრულყოფა. სკოლის ინოვაციური საგანმანათლებლო პოტენციალი, რომელიც ეყრდნობა სკოლის ტრადიციებსა და გამოცდილებას, შესაძლოა იყოს ის მექანიზმი, რომელიც მიცემს სკოლას საშუალებას იყოს უფრო მოქნილი, დინამიური და უზრუნველყოს დამოუკიდებლობა მისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში.

საგანმანათლებლო გარემოს განვითარება და ოპტიმიზაცია მოითხოვს მართვის სტრუქტურების მოქნილობას და ყველაზე პროგრესული პროგრამულ-მიზნობრივი მართვის მოდელის გამოყენებას. პროგრამა სავარაუდოდ



ითვალისწინებს სკოლის საგანმანათლებლო გარემოს შეფასებასა (საგანმანათლებლო, ინფორმაციული,საკადრო) და დაგეგმვას. ამ შეფასების საფუძველზე მათ ეფექტურ გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით პროგრამის სტრუქტურა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტებს.

**პროგრამის სტრუქტურაში შედის:**

- განმარტებითი ბარათი, რომელშიც წარმოდგენილია სკოლის განვითარების პროგრამის რეალიზაციის ანალიზი და მოცემული პროგრამის ფარგლებში გადასაწყვეტი პრობლემების დახასიათება;
- მიზნების, ამოცანების და შინაარსის დახასიათება, პროგრამის ძირითადი დებულებები და მისი ანალოგიური პროგრამებისაგან პრინციპული განსხვავება;
- განათლების შინაარსის სრულყოფა და ხარისხის ამაღლება, მოსწავლეთა ზრდილობიანობის დონის ამაღლება; საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა სოციალურ-პედაგოგიური მხარდაჭერა და დევიანტური (გადახრა) ქცევის პროფილაქტიკა; ნიჭიერი ბავშვების განვითარების მხარდაჭერა;მოსწავლეთა ჯანმრთელობის სტაბილიზაცია და გაჯანსაღება,სასწავლო და პედაგოგიური პროცესის სამედიცინო თანხლება; საგანმანათლებლო პროცესის მართვის ეფექტურობის ამაღლება; საკადრო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; სასწავლო პროცესის ინფორმატიზირება; საერთაშორისო და რეგიონთა შორის თანამშრომლობა; მოსწავლეთა კომპლექსური უსაფრთხოების პირობების შექმნა;
- პროგრამის შესრულების ღონისძიებები;
- დანართები (საინფორმაციო ცნობა სკოლის შესახებ, შინაფაქტორების ანალიზით, რომელიც ხელს უწყობს სისტემის რეფორმას, ქვეპროგრამები, სქემები, სასწავლო გეგმები).

პროგრამის ყველა კომპონენტში მოცემულია სასკოლო განათლების პრობლემები, მათი გადაწყვეტის მიზნები და ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები, ინდიკატორები.

პროგრამა არ არის დოგმა, ის არის ღია რეალიზაციის დროს კორექტივების შეტანისათვის, ითვალისწინებს პროგრამის დანაყოფების მუდმივ ანალიზს, სკოლის საგანმანათლებლო პროცესის ახალი რეალობების გათვალისწინებით.



## განვითარების პროგრამის დანაყოფების ნუსხა 2016 –2022 წწ

პროგრამის სტრუქტურა შედგება ურთიერთდაკავშირებულ დანაყოფებისაგან: გვ.

I. 2016–2022 წწ ქ.ბათუმის მე–6 ფიზიკა–მათემატიკის საჯარო სკოლის განვითარების პროგრამის განმარტებითი ბარათი.

II. სკოლის განვითარების პროგრამის მიზნები და ამოცანები.

III. შინაარსი:

1. განათლების შინაარსის სრულყოფა და ხარისხის ამაღლება;
  2. მოსწავლეთა ზრდილობიანობის დონის ამაღლება; საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა სოციალურ–პედაგოგიური მხარდაჭერა და დევიანტური (გადახრა) ქცევის პროფილაქტიკა;
  3. ნიჭიერ მოსწავლეთა მხარდაჭერა და განვითარება
  4. სასწავლო პროცესის ინფორმატიზირება
  5. სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე, სოციალურ–ფსიქოლოგიური, პედაგოგიური და სამედიცინო მეთვალყურეობა.
  6. საგანმანათლებლო პროცესის მართვის ეფექტურობის ამაღლება;
  7. სკოლის საგანმანათლებლო პროცესის კადრებით უზრუნველყოფა;
  8. სასწავლო პროცესის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფა;
  9. საერთაშორისო და რეგიონთა შორის თანამშრომლობა;
  10. მოსწავლეთა კომპლექსური უსაფრთხოების პირობების შექმნა;
- IV. განვითარების პროგრამის შესრულების ვადები და ეტაპები
- V. პროგრამის შესრულების მდგომარეობის მიზნობრივი ინდიკატორები და შეფასების მაჩვენებლები.

VI. ღონისძიებები სკოლის განვითარების პროგრამის შესასრულებლად.

VII. პროგრამის რეალიზაციის მონიტორინგი

VIII. დანართები



# I. ქალაქ ბათუმის მე-6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის განვითარების პროგრამის

განმარტებითი ბარათი.

2016–2022 წწ

2016 წლიდან სკოლაში შეიქმნება საგანმანათლებლო გარემოს განვითარების პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებს: სკოლის მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილებას და პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის ცოდნის კულტის ფორმირების ინოვაციური ფორმების ძიებას, მოსწავლეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ტოლერანტობის და საზოგადოების სოციალიზაციის შესაძლებლობის მექანიზმების ფორმირების შექმნას.

**სკოლის განვითარების პროგრამის შესრულების შედეგად:**

შეიქმნება ლოკალური აქტები, საგნობრივი გამოცდების ჩატარების დებულება, დებულება საგნობრივი კათედრების შესახებ, შინაგანაწესი (ახალი რედაქცია); ახალგაზრდა სპეციალისტის შესახებ დებულება;

დებულება სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა წახალისების შესახებ; შინასასკოლო შეფასების დებულება;

სკოლის მოსწავლეთა რეიტინგული შეფასების დებულება;

მასწავლებელთა მუშაობის ურთიერთნდობის დებულება;

შეფასების სისტემის დებულება;

საშინაო დავალების ნორმირების დებულება;

დებულება მშობელთა უფლება-მოვალეობის შესახებ;

**ჩატარდება სასკოლო კონფერენციები პედაგოგთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაწილეობით.**

**2010-2013 წლების განვითარების პროგრამის რეალიზაციამ შექმნა წინაპირობა:**

– სასწავლო გეგმებში სასკოლო კომპონენტების ზრდა ;

– საგნობრივი ფიზიკა-მათემატიკის პროფილის გახსნა;

– ინოვაციური, საინფორმაციო, სწავლის განვითარების ტექნოლოგიების დანერგვა სკოლის საგანმანათლებლო პროცესში, უცხო ენის შესწავლა დაწყებითი კლასიდან და სხვა;

დიფერენცირებული ცოდნის შეფასების დანერგვა მოსწავლეთათვის (კომპონენტების გამოყენება მე-5 – მე-12 კლასებში; ნიშნების მონიტორინგული ანალიზი: სემესტრის შედეგები, წლიური გამოცდების შედეგები და სხვა.

– სკოლასთან არსებული გაძლიერებული სწავლების ფიზიკა მათემატიკური ცენტრის მოდერნიზაცია.

– მოსწავლეთა მოღვაწეობის ახალი რეიტინგული შეფასების სისტემის მოდერნიზაცია;

– უმაღლეს სკოლასთან მჭიდრო კავშირის დამყარება;





საგანმანათლებლო გარემოს მართვის ახალი მოდელის დამუშავებისას გათვალისწინებულია პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის რეალიზაცია აღმზრდელობით საქმეში, მოსწავლეთა როლი თვითმმართველობის განვითარებაში, მოსწავლეთა ზრდილობიანობის დონის და მათი მნიშვნელობის ზრდა საგანმანათლებლო პროცესში:

– მოსწავლეთა თვითმმართველობა ისევე, როგორც მშობლები და პედაგოგები აქტიურ გავლენას ახდენს სკოლაში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. ღებულობს აქტიურ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესის განმსაზღვრელ ნორმატიული აქტების განხილვასა და მიღებაში; აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სკოლის სამეურვეო საბჭოს და დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში.

### **პედაგოგიური კოლექტივის საგანმანათლებლო მოღვაწეობის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა ბევრების ჯანმრთელობა:**

- სკოლაში მუშაობს ექთანი, შექმნილია მოსწავლეთა მონაცემების ბანკი ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით;
- ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია სათანადო სიმაღლის ავეჯით;
- მოსწავლე იკვებება სკოლის ბუფეტში, სადაც დაცულია ყველა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
- განახლდა სპორტული დარბაზი;
- დამუშავებულია ჯანმრთელობის დღეების ჩატარება ნოემბერ-დეკემბერში, სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარება, ლაშქრობები ღამისთევით, მცირე ოლიმპიური თამაშები და სხვა;
- მოსწავლეთა 38% ჩართულია სპორტისა და ფიზიკური კულტურის ღონისძიებებში როგორც სკოლაში, ისე სასპორტო სკოლაში.

### **სკოლის განათლების ხარისხის ამაღლების ერთერთი ძირითადი რესურსია – პედაგოგიური კადრები:**

- პედაგოგი, მათ შორის 97% არის მაგისტრი, აქვს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და მათგან სერტიფიცირებულია 53% მათ შორის ერთი 200 და ორი ათასი ლარით .  
განათლების სისტემის ინფორმატიზება იძლევა შესაძლებლობას სკოლის ინოვაციური შემოქმედებისათვის:
- შექმნილია ერთიანი ლოკალური კავშირი, რომელშიც ჩართულია მომხმარებელთა ორი ჯგუფი: მასწავლებლები და მოსწავლეები;
- მოეწყო 15 ერთეული კლას-ლაბორატორიები, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით
- სკოლას გააჩნია კომპიუტერული კაბინეტი 30 კომპიუტერით;
- არის ლეკ-ტოპები, ფოტო, ვიდეო და აუდიო აპარატურა;
- სკოლა ჩართულია ინტერნეტში;
- სკოლაში არის კომპიუტერული საქმეთა მართვა და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვა;
- იქმნება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მონაცემთა ბაზა საგნის მასწავლებლების და კლასის ხელმძღვანელების მუშაობაში, მედიოთეკა.





**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს განათლების წვდომას და ხარისხს:**

- 2005 წლიდან დღემდე ჩატარდა სკოლის კაპიტალური რემონტი, სრულიად შეიცვალა გასათბობი სისტემა; შეიცვალა ფანჯრები, რესტავრირებულ იქნა სკოლის ფასადი, ყველა კლასში დაიგო ლამინატი, შეიცვალა დაფები; შეძენილია საჭირო რაოდენობის ავეჯი, კაპიტალურად შეკეთდა სკოლის ბუფეტი, მოეწყო და აღიჭურვა საჭირო ავეჯითა და აპარატურით, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა, მათემატიკის, უცხო ენების და მეცნიერების კაბინეტები, სკოლის მცირე დარბაზი შეკეთდა და აღიჭურვა მიკროფონებით, სკამებით და ა.შ.;
- გატარდა ავეჯის მარკირება ყველა კაბინეტში;
- უზრუნველყოფილია სკოლის ვებგვერდით [pmc.edu.ge](http://pmc.edu.ge)
- მოეწყო თანამედროვე ტიპის კლას-ლაბორატორიები.

კურსდამთავრებულთა ყოველწლიური ანკეტირება ადასტურებს სკოლაში დადებითი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის არსებობას, რის შედეგადაც ვლინდება დადებითი ადამიანური თვისებები (გამოკითხულთა 83%), რეალიზაციას ჰპოვებს და ვითარდება ინტელექტუალური შესაძლებლობები (გამოკითხულთა 70% აზრით), ყალიბდება ორგანიზატორული უნარები (გამოკითხულთა 74%), საკომუნიკაციო კულტურა (გამოკითხულთა 89%). კურსდამთავრებულთა 97% გამოთქვა სურვილი თავიანთი შვილები განათლების მისაღებად მოიყვანონ მე-6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში.

განვითარების პროგრამის რეალიზაციის საქმიანობამ კონკურენტუნარიანი გახადა სკოლა ქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულების შორის. ამჟამად სკოლა არის ინოვაციური მუშაობის ცენტრი.

განვითარების პროგრამის რეალიზაციის შედეგად და პოზიტიური ძვრების მიუხედავად ნაადრევია იმის თქმა, რომ პედაგოგიური მოღვაწეობის ყველა მიმართულება შეესაბამება სოციალურ დაკვეთას. აღსანიშნავია:

- ნაკლოვანებების არსებობა მოსწავლეთა საგნობრივ სწავლებაში;
- მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA-ს) მონაცემებით მოსწავლეთა სერიოზული ჩამორჩენა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების თანატოლებისაგან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული წარმოდგენებისა და უნარების აღქმაში;
- მოსწავლეთა არასაკმარისი სოციალური აქტიობა, ცუდი ჩვევებისადმი სუსტი წინააღმდეგობა და ტოლერანტობა;
- მშობელთა მოუძნალებლობა თანამედროვე სამყაროში ბავშვის აღზრდის რთული ამოცანების გადაწყვეტაში, რეფლექსიის უქონლობა ბავშვის აღზრდაში, როდესაც ის გადადის სწავლების მეორე საფეხურზე;
- ფსიქოლოგიური და დიაგნოსტიკური სამსახურების არასაკმარისი მობილურობა არ უზრუნველყოფს აღმზრდელობითი საქმიანობის სრულყოფილ ოპერატიულ მართვას და მოითხოვს მის საორგანიზაციო სტრუქტურის შემდგომ რეფორმირებას;
- საგანმანათლებლო პროცესში ერგონომიური (მოსწავლეთა გარემოსთან შეგუება) პრინციპის სუსტი რეალიზება.



სკოლაში სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების პირობაა სასწავლო დაწესებულების კონკურენტუნარიანობის ზრდის უზრუნველყოფა. თანამედროვე პირობებში სწრაფი ადაპტაცია კონკურენციის პირობებში არის წარმატებული და მდგრადი განვითარების უმთავრესი ფაქტორი.

სკოლის კონკურენტული უპირატესობა დაკავშირებულია ყოველი ბავშვის შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების შესაძლებლობაზე.

2016 – 2022 წწ განვითარების პროგრამა (შემდგომში პროგრამა), მოწოდებულია განამტკიცოს მუშაობის მიღწეული შედეგები და უზრუნველყოს სკოლაში საგანმანათლებლო გარემოს განვითარების გაგრძელება საქართველოს განათლების ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს პირობები მშობელთა და საზოგადოების მოთხოვნებიდან გამომდინარე ხარისხიანი სწავლის დასაკმაყოფილებლად, განათლების სტრუქტურისა და შინაარსის განახლების გზით, საგანმანათლებლო პროგრამების ფუნდამენტურობის და პრაქტიკული მიმართულების განვითარების, უწყვეტი განათლების სისტემის ფორმირებით.



## II. ქ.ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის განვითარების პროგრამის მიზნები და ამოცანები.

**პროგრამის მიზანია –** პირობების მომზადება:

- მოსწავლის პიროვნების განვითარებისათვის სკოლაში ხარისხობრივად მოდერნიზებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა;
- ყოველი მოსწავლის ნიჭის გამოვლენა და განვითარება, სულიერად მდიდარი, თავისუფალი, ზნეობრივად და ფიზიკურად ჯანმრთელი, შემოქმედებითად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, რომელსაც ექნება მაღალი დონის მტკიცე ცოდნა, თანამედროვე ცხოვრების პირობებთან შეგუების (ადაპტირების) უნარი;
- სკოლის ინტელექტუალური რესურსის გამოვლენა და გაზრდა მოსწავლის ნიჭის მაქსიმალურად განვითარების მისაღწევად;
- მასწავლებელთა გამოცდილების და თემატურ-საგაკვეთილო საგნების სწავლების გამოცდილების ზრდის საფუძველზე საგანმანათლებლო პროცესში დაგროვილი გამოცდილების შინაარსისა და ტექნოლოგიების სტაბილიზაცია და სრულყოფა.

**მოცემული მიზნები მიღწევადია, თუ შესრულდება პროგრამაში წარმოდგენილი კონკრეტული ამოცანები:**

- განათლების შინაარსის შემდგომი სრულყოფა და ხარისხის ამაღლება;
- მოსწავლეთა ზრდილობიანობის დონის ამაღლება, საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა მხარდაჭერა და დევიანტური (გადახრა) ქცევის პროფილაქტიკა;
- სასწავლო პროცესის ინფორმატირება;
- ნიჭიერ ბავშვთა მხარდაჭერა და განვითარება;
- მოსწავლეთა ჯანმრთელობის შენარჩუნება და განმტკიცება, სასწავლო პროცესისადმი სოციალურ-ფსიქოლოგიური, პედაგოგიური და სამედიცინო თანხლება;
- სასწავლო პროცესის მართვის ეფექტურობის ზრდა;
- სკოლის კოლექტივის მიერ უწყვეტი სწავლების, მის ჰუმანურ, პიროვნებაზე ორიენტირებულ, შემოქმედებითად მოღვაწე მიმართულების მიმართ ფასეულთსადმი ფაქიზი შემოქმედებითი დამოკიდებულების კულტივირება;
- სკოლაში სრულყოფილი გარემოს შექმნა პედაგოგების ინოვაციური მუშაობის მოტივირების ზრდისათვის;
- სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის სრულყოფა;
- საერთაშორისო და რეგიონთაშორისო თანამშრომლობის განვითარება;
- მოსწავლეთა კომპლექსური უსაფრთხოების პირობების შექმნა.



### პროგრამის შესრულებისათვის მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებანი:

- მოსწავლის პროცენტების განვითარება;
- განათლების ახალი ფილოსოფიის დანერგვისათვის მუშაობის სრულყოფა დაგროვილი გამოცდილების და თემატურ-საგაკვეთილო საგნების სწავლების დანერგვის საფუძველზე;
- განათლების ხარისხის მიღწევა, რომელიც შეესაბამება „პროცენტების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს აქტუალურ მოთხოვნებს;
- განათლების შინაარსის სრულყოფა სკოლის სტატუსის შესაბამისად;
- სასწავლო პროცესში ინოვაციური და საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების დანერგვა;
- ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის სისტემის განვითარება;
- პედაგოგთა დიაგნოსტიკის როლის ზრდა, როგორც განათლების ხარისხის და მისი ინდივიდუალიზაციის ზრდის უმთავრესი ფაქტორი;
- მოსწავლეთა შეფასების რეიტინგული სისტემის სრულყოფა დაწყებითი საფეხურიდან საბაზო საფეხურზე, საბაზო საფეხურიდან საშუალო საფეხურზე გადასვლისას;
- საერთო სასკოლო ტრადიციების შენარჩუნება, განვითარება და ზრდა (ლაშქრობები ღამისთევით, ჯანმრთელობის დღეები, სპორტული და საგნობრივი ოლიმპიადები, საგნობრივი კვირეულები, ზეიმები და სხვა);
- სკოლის საკადრო პოტენციალის გამტკიცება;
- სკოლის საგანმანათლებლო პროცესის სახელმწიფო-საჯაროობის ხასიათის გაძლიერება;
- სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის სრულყოფა;
- ბავშვებისა და მოზარდების უსაფრთხოება და დაცულობა

### III. შინაარსი

#### **თავი 1. განათლების ხარისხის ამაღლება და შინაარსის სრულყოფა.**

განათლების ხარისხის ამაღლების პრობლემა პრიორიტეტულია პედაგოგიური კოლექტივის საქმიანობაში, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებაში უმთავრესი ადგილი უჭირავს. განათლების შინაარსის სრულყოფის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საერთო განათლების შინაარსის ჰუმანიტარულ შემადგენელს, მის პრაქტიკულ მიმართულებას სწავლისა და აღზრდის პროცენტულად მიმართულ მიდგომას. ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა:

1.1. სასკოლო განათლების ხარისხობრივად ახალი დონის უზრუნველყოფა მათემატიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანური განათლების შინაარსის ფუნდამენტურობის გაძლიერების ხარჯზე, საგანმანათლებლო პროცესში ახალი თანამედროვე ინფორმაციული და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება;

1.2. მასწავლებელთა და მოსწავლეთა კვლევითი საქმიანობის გაძლიერება საგანმანათლებლო პროცესში

- მე-5 – მე-12 კლასელ მოსწავლეთათვის ყველა საგანში საპროგრამო მასალის არანაკლებ 10% ოდენობით კვლევის და პროექტების ფორმებით შესწავლა;



- მოსწავლეთა მონაწილეობა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებსა და კონკურსებში;
- უმცროსკლასელების სკოლის საცდელ-ექსპერიმენტალურ მუშაობაში ჩართვა და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობა.

1.3. განათლების სხვადასხვა საფეხურებს შორის შინაარსობრივი, სტრუქტურული და საორგანიზაციო მემკვიდრეობითი და დინამიური განვითარება (დაწყებითი, საბაზო, საშუალო), საერთო და დამატებითი განათლების ინტეგრაცია:

- საერთო განათლების ახალი სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვა;
- მოსწავლეთა დატვირთვის ოპტიმიზაცია და ბავშვების დამატებითი განათლების შესაძლებლობების გაფართოება;
- სკოლაში სამუზეო-პედაგოგიური მოღვაწეობის კონცეფციის შექმნა სამედიცინო-ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კონსილიუმების მუშაობის სრულყოფა მოსწავლეთა ფსიქოლოგიური გარდატეხა-გადახრების თავიდან აცილების მიზნით;
- ნიშნების კრიტერიუმების მექანიზმის სრულყოფა 5-12 კლასებში.

**თავი 2. მოსწავლეთა ზრდილობიანობის დონის გაზრდა, სასწავლო პროცესის მონაწილეთა სოციალურ-პედაგოგიური მხარდაჭერა და მოსწავლეთა დევიანტური ქცევის პროფილაქტიკა.**

სკოლაში შექმნილია, მოქმედებს და ვითარდება უნიკალური აღმზრდელობითი სისტემა, დამუშავებულია პროგრამა „განათლება და ჯანმრთელობა“, მუშაობს პროფილაქტიკის საბჭო, მაღლდება მოსწავლეთა აქტიურობა თვითმართველობის შექმნის მიზნით, იზრდება უფროსკლასელთა სკოლის მართვაში მონაწილეობის წონა. სპორტული ღონისძიებების ჩატარების შედეგად გაიზარდა მოსწავლეთა ფიზიკური აქტიურობა. მაგრამ ერთერთ უმთავრეს ამოცანად რჩება საქართველოს ნორჩ მოქალაქეთა აღზრდა. აღმზრდელობით მუშაობაში დადებითი დინამიკის გასამტკიცებლად, მოსწავლეების ასოციალური ყოფაქცევის ეფექტური პროფილაქტიკის მიზნით აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

2.1. სკოლაში მოსწავლეთა აღზრდის შინაარსის სრულყოფისათვის

- შესასწავლი საგნის აღმზრდელობითი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება;
- ნდობის ჯგუფების დებულების მოდიფიკაცია;
- მოსწავლეთა ზრდილობიანობის დონის დიაგნოსტიკა .
- ყოველი მოსწავლის ჩართვა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობაში გაკვეთილზე და არასაკვეთილო დროს;
- კართოთეკის შექმნა პიროვნების ზნეობრივი თვისებების აღზრდისათვის საგანმანათლებლო პროცესში;
- პროგრამა „ზნეობრივი აღზრდა“-ს დანერგვა და სრულყოფა;
- საგანმანათლებლო პროცესის მართვაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართვა ;

2.2. სასკოლო ტრადიციების შემდგომი განვითარება;

2.3. კლასის ხელმძღვანელებთან მუშაობის ოპტიმიზაცია:

- კლასის ხელმძღვანელის შესახებ დებულების სრულყოფა;





- კლასის ხელმძღვანელთა შესაძლებლობების მონიტორინგი კლასთან მუშაობის აღმზრდელობითი პროგრამების შედგენა-რეალიზაციაში;
- „სასწავლო დაწესებულების აღმზრდელობითი და ბავშვთა სოციალიზაციის საქმეში ოჯახებთან თანამშრომლობის შინაარსი და ფორმები“-ს პრობლემის გადასაჭრელად, კლასის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების თემატური მოდულის დამუშავება;
- საკლასო კოლექტივებში აღმზრდელობითი პროგრამების მონაცემთა ბანკის შექმნა;

**2.4. მშობლებთან მუშაობის სრულყოფა გულისხმობს:**

- მშობელთა და ბავშვთა, რომლებიც აღმოჩნდნენ რთულ სიტუაციაში „სხვისი ბავშვი არ არსებობს“, სოციალური მხარდაჭერის პროგრამის დამუშავება;
- „მშობელთა სკოლა“ – საინფორმაციო-მეთოდური გვერდის შექმნა მე-6 სკოლის ვებ-გვერდზე;
- მშობელთა კომიტეტების მუშაობის ოპტიმიზაცია საგანმანათლებლო და საოჯახო პრობლემების გადასაწყვეტად;

**თავი 3. ნიჭიერი ბავშვების მხარდაჭერა და განვითარება.**

სკოლის საგანმანათლებლო გარემო აძლევს მოსწავლეებს იმის საშუალებას, რომ გამოავლინონ და განავითარონ თავისი შესაძლებლობები შემოქმედებითი საქმიანობის სხვადასხვა დარგში, დაწყებული 1 კლასიდან, რაზეც მეტყველებს სკოლის მოსწავლეების სხვადასხვა საქალაქო კონკურსებში და ოლიმპიადებში მონაწილეობა. ყოველწლიურად იზრდება მაღალმოტივირებულ მოსწავლეთა რიცხვი. ნიჭიერ მოსწავლეთა მხარდაჭერისათვის პროგრამა ითვალისწინებს:

3.1. პროგრამა „ნიჭიერი ბავშვები“-ს დამუშავება;

3.2. ოლიმპიადებში, სხვადასხვა დონის კონკურსებში გამარჯვებულ მოსწავლეთა მისამართების მონიტორინგისა და თანხლების სისტემის შექმნა:

- ერთიანი, მუდმივად მოქმედი სისტემის შექმნა ნიჭიერი და ბავშვების საძიებლად და მათი განვითარებისათვის;
- ნიჭიერი ბავშვების განვითარების დასახმარებლად სპეციალური ინდივიდუალური პროგრამების და სტრატეგიების მიღება- დამუშავება;
- პროგრამულ-მეთოდური მასალების ბანკის შექმნა, ნაადრევად განვითარებული და მაღალი მოტივაციის მქონე მოსწავლეთა გამოსავლენად ტექნოლოგიების და მეთოდების დამუშავება;

**თავი 4. სასწავლო პროცესის ინფორმატიზირება**

სკოლის საგანმანათლებლო მიზანია – ყოველი მოსწავლის ნიჭის გამოვლენა და განვითარება, ისეთი პიროვნების ჩამოყალიბება, რომელიც შეეგუება თანამედროვე ცხოვრების პირობებს. ის (მიზანი) სრულდება, როდესაც სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ჩართულია სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები, ცოდნის ათვისების და უნარების დიაგნოსტიკა. სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში დიფერენცირებული, პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომა ხორციელდება ოპტიმალური ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური განვითარების და ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური ნიჭის რეალიზაციისათვის პირობების შექმნით და მუშაობაში



ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური სამსახურის ჩართვით. მოცემული ამოცანის გადასაწყვეტად სჭირია:

**4.1. საინფორმაციო რესურს ცენტრის შექმნა:**

- სკოლის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ფორმირება;
- სასწავლო პროცესში საინფორმაციო სისტემის (მონაცემთა ბაზის) ჩართვა;
- გამოთვლითი ტექნიკის, გლობალური საინფორმაციო რესურსების მიწვდომობის საშუალებების, სხვა ტექნიკური მომსახურების საშუალებათა სკოლის სუბიექტათვის მიწოდება;
- საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში;
- ინტერნეტ საგანმანათლებლო დანიშნულების რესურსების შესწავლა, მონაცემთა ბანკის შექმნა და მისი გამოყენებით პედაგოგთა გამოცდილების გავრცელება;

**4.2. სასწავლო პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა:**

- სასწავლო პროცესის მხარდაჭერის და განვითარების უზრუნველყოფა და ელექტრონული საშუალებების ხარისხის ტესტირება;
- საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური, ადმინისტრაციული და საინჟინრო-ტექნიკური კადრების მომზადება სასწავლო პროცესში უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენებისათვის;
- სკოლაში სასწავლო პროცესის, სწავლის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის კონსულტატური, ექსპერტული მუშაობის ორგანიზება;
- საინფორმაციო რესურსცენტრში სკოლის ადმინისტრაციულ მუშაკებისათვის და საგნის მასწავლებელთათვის ტიპიური სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დამუშავება ;

4.3. საბიბლიოთეკო ფონდის გაზრდა. სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და მეცნიერული ლიტერატურის, მ.შ. პერიოდული გამომცემლობის სპექტრის გაფართოება;

4.4. ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა. სასწავლო-მეთოდური დამხმარე ლიტერატურის და სკოლის მასწავლებელთა მიერ დამუშავებული რეკომენდაციების ელექტრონულ ფორმაში გადაყვანა.

4.5. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი მკითხველთა დარბაზის ინტერნეტში გასვლის საშუალებით, ელექტრონული კატალოგის და მედიათეკის შექმნა.

4.6. სკოლის პორტალის გამოყენება თემატურ-საგაკვეთილო სწავლების სრულყოფისათვის.

**თავი 5. მოსწავლეთა ჯანმრთელობა, სასწავლო პროცესის სოციალურ-ფსიქოლოგიური, პედაგოგიური და სამედიცინო თანხლება.**

სასწავლო პროცესის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მოსწავლეთა და პედაგოგების სიცოცხლისუნარიანობის, მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის სკოლაში სრულდებოდა შესაბამისი პროგრამა. შექმნილი იქნა საჭირო ინვენტარი, ჩატარდა სპორტული და სააქტო დარბაზის რეკონსტრუქცია.

დამუშავებულია პედაგოგთა და სამედიცინო პერსონალთან ურთიერთობის მოდელი.





5.1 მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცება გულისხმობს:

- მოსწავლეთა სასწავლო პროცესში გადატვირთვის თავიდან აცილებას
- „ჯანმრთელობის პასპორტის“ შემოღება მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით;
- მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური განვითარების მონიტორინგის ჩატარების სრულყოფა;
- ფიზიკური განვითარების კვლევის ორგანიზაცია და წელიწადში ორჯერ მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების ტესტური გამოცდა;
- ყველა კლასში ასაკთან შესაბამისი ავეჯის, დაფის განათების, და საშინაო დავალების რეგლამენტაციის არსებობა;
- სკოლაში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების პროგრამის შესრულების უზრუნველყოფა;

5.2 მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცება;

ჯანმრთელობის 6 დღის და ტურისტული ლაშქრობების ჩატარების გამოცდილების შემდგომი განვითარება;

-საერთო სასკოლო სპარტაკიადების ჩატარება წლის განმავლობაში;

5.3. „ჯანმრთელობა და განათლება“ პროგრამის მოდერნიზაცია.

## **თავი 6. საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობის ამაღლება**

სკოლაში მართვის სისტემის მოდიფიკაციამ, შიდაპარალელური მართვის „ავტონომიზაციამ“ მოგვცა საშუალება განვახორციელოთ პიროვნებაზე ორიენტირებული განათლება, აღმზრდელობითი პროცესი გახდეს მაქსიმალურად ინდივიდუალიზებული, გადაიჭრას აღზრდაში მემკვიდრეობითობის პრობლემები, ფსიქოლოგიური გადახრების თავიდან აცილების მიზნით შეექმნათ ყოველი პარალელის მოსწავლისათვის წარმატებულობის სიტუაცია.

პარალელში მოსწავლეთა თანამშრომლობის იდეა , ქმნის დამატებით აღმზრდელობით ფორმებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ბავშვების სოციალკულტურული და ნორმატიული ურთიერთობების შესაძლებლობას. ჩვენი ძალისხმევის შედეგად პარალელური კლასის მოსწავლეები პატივისცემით ეპყრობიან ერთმანეთს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეს ხდება არა მარტო ვერბალურ დონეზე, არამედ ცხოვრებისეულ სიტუაციაში. პარალელებში აღმზრდელობითი მუშაობა ხორციელდება ადმინისტრაციის მოქმედების პროგრამის შესაბამისად, რომელიც მტკიცდება პედსაბჭოს და სამეურვეო საბჭოს მიერ, სასწავლო წლის ამოცანებისა და აღმზრდელობით პროცესში დაგროვილი გამოცდილების ფონზე ხდება საგანმანათლებლო ფილოსოფიის დანერგვა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სკოლის სამეურვეო საბჭოს ავტორიტეტი. მიღწეულის გასამტკიცებლად და სკოლის მართვაში საზოგადოების როლის გაფართოების მიზნით საქირთა:

6.1. საგანმანათლებლო სისტემაში საზოგადოებრივ-სახელმწიფო მართვის მოდელის განვითარება, ღიაობის ამაღლება და საინვესტიციო გარემოს შექმნა შემდეგი გზით:

- ყველა მმართველობითი ჯაჭვის ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირების გაძლიერება;
- სკოლის უმაღლესი ორგანოს სამეურვეო საბჭოს როლისა და ავტორიტეტის განმტკიცება;



6.2. სასკოლო განათლების განვითარების მუდმივი მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება:

- საგანმანათლებლო სისტემის შესახებ ინფორმაციის ბანკის შექმნა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია სკოლაში საგანმანათლებლო სიტუაციის ანალიზი და კორექტირება;
- ქვეყანაში, ქალაქში მიმდინარე სოციალურ-პედაგოგიური და ეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინებით, სკოლის განვითარების შემდგომი ეტაპების პროგნოზირება, დანერგილი სიახლეების სოციალური რისკის შესაძლებლობა;
- კვლევითი პოზიციის შესანარჩუნებლად პედაგოგების ინოვაციური შემოქმედების სტიმულირება;
- საგანმანათლებლო სტრატეგიის რეალიზაციისათვის სკოლის სხვადასხვა დანაყოფების ინტეგრირება;

### თავი 7. სკოლაში სასწავლო პროცესის კადრებით უზრუნველყოფა.

სკოლაში საგანმანათლებლო გარემოს შემდგომი განვითარება, სწავლისა და აღზრდის პროცესის ოპტიმიზაცია შეუძლებელია პედაგოგიურ კადრებთან მიზანსწრაფული მუშაობის გარეშე. სკოლის ადმინისტრაციის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად რჩება ისეთი საკადრო პოტენციალის განვითარება, რომელსაც შესწევს უნარი უზრუნველყოს თანამედროვე შინაარსის სასწავლო პროცესი და გამოიყენოს შესაბამისი საგანმანათლებლო ტექნოლოგიები.

საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფილი კადრებით უზრუნველსაყოფად საჭიროა:

7.1. პედაგოგთა კვალიფიკაციის და ოსტატობის ამაღლება:

- ყველა არსებული შესაძლებლობის გამოყენებით – ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სემინარები, პედაგოგიური სახელოსნოები და შემოქმედებითი ჯგუფები – პედაგოგთა უწყვეტი განვითარების სისტემის ჩამოყალიბება;
- მუშაობის გამოცდილებიდან მეცნიერული სტატიების და მასალების გამოქვეყნება;
- მოსამზადებელი კურსების ჩატარება მასწავლებელთა კომპიუტერზე მუშაობისათვის, კომპიუტერული ტექნოლოგიების და ინტერნეტის შესაძლებლობების გამოყენების დაუფლება;
- მეცნიერულ-მეთოდური მუშაობის ორგანიზების გამოცდილების ზრდა მასწავლებელთა საბოლოო შედეგის კონტროლით (მე-6, მე-9, მე-12 კლასების სწავლის ხარისხობრივი შედეგები);

7.2. სკოლაში შექმნილი მასწავლებელთა მატერიალური და მორალური სტიმულირების მექანიზმის სრულყოფა:

- მასწავლებელთა ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისათვის საპრემიო ფონდის რაციონალური გამოყენება;
- ადმინისტრაციისა და პედაგოგთა შორის უთიერთნდობის საფუძველზე მუშაობის გაგრძელება;



7.3. დაგროვილი გამოცდილების, მისი პრაქტიკული დანერგვის გზით მასწავლებელთა პასუხისმგებლობის ზრდა მოსწავლისთვის წარმატებულობის სიტუაციის შექმნაში, მოსწავლეთა ურთიერთობის კულტურის ზრდა, ნდობის და ბავშვის უფლებების კონვენციის გათვალისწინებით, განათლების ფილოსოფიური იდეების განვითარება.

#### **თავი 8. სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.**

2005–2006 წლებში საკმაოდ წარმატებულად გადაწყდა ერთერთი უმთავრესი პრობლემა: სკოლის სასწავლო-მეთოდური ბაზის გამტკიცება. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შევიძინეთ გეოგრაფიის, ქიმიის, ბიოლოგიის, ქართულისა და უცხო ენების, მათემატიკის, დაწყებითი კლასების ხელსაწყოები და თვალსაჩინო მასალები. ჩატარდა არსებული თვალსაჩინოებათა რევიზია და აღდგენა, შეიქმნა ტექნიკურ საშუალებათა, ტაბულების, რუკების საცავი. სკოლაში სასწავლო პროცესის ეფექტურობის ამაღლებისათვის აუცილებელი პირობაა სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფა.

8.1. სასწავლო პროცესის მატერიალური ბაზის შემდგომი გაუმჯობესება სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად:

- სკოლაში და სკოლის სასაბაზოში წყლისმომარაგების სისტემის კაპიტალური რემონტი;
- წყალ- და ენერგორესურსების დაზოგვის ღონისძიებათა კომპლექსის ჩატარება;
- ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის კაბინეტების და კლას-ლაბორატორიების აღჭურვის სრულყოფა;
- სახსრების მოზიდვა საგანმანათლებლო პროცესის მატერიალური ბაზის გამტკიცებისათვის, კიბეების, დერეფნების და სხვა ადგილების ესთეტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- სკოლაში სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად სპონსორების და მშობლების ნებაყოფილებითი მოზიდვა.

8.2. სასწავლო პროცესში ერგონომიკის (დისციპლინა, რომელიც კომპლექსურად შეისწავლის ინდივიდის ფუნქციურ შესაძლებლობებს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში) პრინციპის დანერგვა:

- დაწყებითი კლასებისათვის თვალსაჩინოების საცავის მოწყობა;
- ტაბულების შესანახად კონვერტების დამზადება;
- სასწავლო, ტექნოლოგიური მასალების, თვალსაჩინოების დაკვეთის პროგრამის სრულყოფა;
- მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზის პასპორტიზაცია; ყოველი სასწავლო კაბინეტისათვის განვითარების პროგრამის შექმნა.

8.3. არსებული აღჭურვილობის და თვალსაჩინოების შენახვა:

- კლასებში ნაწილობრივი სარემონტო მუშაობის ჩატარება;
- წყობიდან გამოსული სასწავლო აღჭურვილობის რესტავრაცია;



- ავეჯის, აღჭურვილობის და თვალსაჩინოების რესტავრაციისათვის ტექნოლოგიური რუქების მოდიფიკაცია.

8.4. მეცნიერების კაბინეტის თანამედროვე სასწავლო–ლაბორატორიული ხელსაწყოებით აღჭურვა.

8.5. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორიული ექსპერიმენტების დემონსტრირებისათვის (როგორც მოსწავლეთათვის საძიებო ამოცანა).

### **თავი 9. საერთაშორისო და რეგიონთაშორისო თანამშრომლობა.**

ბოლო წლებში განვითარებული საერთაშორისო და რეგიონთაშორისო თანამშრომლობა იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოვიყენოთ უცხოეთის და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების სკოლების გამოცდილება საკუთარი მიღწევების შეფასების და მოსწავლეთა სხვადასხვა საგანში შესაძლებლობების საგნობრივი ანალიზისათვის. უცხოურ და სხვადასხვა რეგიონების სკოლებთან კავშირის გაღრმავების და გაფართოების მიზნით საჭიროა:

9.1. საერთაშორისო და სხვადასხვა რეგიონალურ ორგანიზაციებთან და კულტურულ ცენტრებთან კავშირების განმტკიცება:

- მოსწავლეთა საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის მიღება
- სასკოლო განათლების შინაარსის გამდიდრება უცხოეთის სკოლების გამოცდილების გამოყენებით;
- „კულტურათა დიალოგი“-ს კლუბის ჩამოყალიბება, პროგრამის შედგენა და მეთოდური უზრუნველყოფა;
- მოსწავლეთა ქვეყნებში მგზავრობის პრაქტიკის გაფართოება, რომლის ენასაც სწავლობენ, შემეცნებითი და საგანმანათლებლო მიზნებით.

### **თავი 10. მოსწავლეთა კომპლექსური უსაფრთხოების პირობების შექმნა.**

განვითარების პროგრამის რეალიზაციის მთავარი მიმართულებაა – ბავშვთა და მოზარდთა უსაფრთხოება და დაცულობა:

- სკოლის ინჟინერულ–ტექნიკური და ფიზიკური დაცულობა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაცვითი სტრუქტურების გამოყენებით;
- მოსწავლეთა და მასწავლებელთა კადრების პირადული და კოლექტიური უსაფრთხოების სწავლება;
- არასრულწლოვანთა და მოსწავლეთა შორის პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება;
- მშობლებთან ბავშვებში საზოგადოებრივი ნორმების და უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის აღზრდაში მუშაობა, მათი აქტიურობის და პასუხისმგებლობის მზარდი ამაღლების აუცილებლობის შესახებ.



#### *IV. პროგრამის რეალიზაციის ეტაპები და ვადები*

##### **პროგრამის რეალიზაციის ეტაპები და ვადები – 2016–2022 წლები.**

პროგრამის რეალიზაციის პირველ ეტაპზე (2016 – 2018 წლები) გათვალისწინებულია გასული 2 წლის მუშაობის ანალიზის ჩატარება, განათლების ცალკეული მიმართულებების მოდელის განვითარება, მათი აპრობაცია, ექსპერიმენტების და გარდაქმნების გაგრძელებით.

მეორე ეტაპზე (2018 – 2020 წლები) სკოლაში საგანმანათლებლო სივრცის განვითარების ამოცანების ამოსახსნელად, უპირატესობა ენიჭება იმ ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ითვალისწინებენ პროგრამის მეთოდურ, საკადრო და საინფორმაციო უზრუნველყოფას.

მესამე ეტაპზე (2020–2022 წლები) გათვალისწინებულია ღონისძიებთა რეალიზაცია, რომლებიც ძირითადად მიმართულია წინა ეტაპებზე მიღწეული შედეგების დანერგვასა და გავრცელებაზე.

ყოველ ეტაპზე დაგეგმილია მაჩვენებლების ცვლა, რომლებიც წლების მიხედვით პროგრამის მოქმედების და საპროგრამო ღონისძიებების საგანმანათლებლო პროცესზე გავლენის მახასიათებელია.

პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად განისაზღვრება მიზნობრივი მაჩვენებლების სისტემა, ინდიკატორები, რომლებიც პროგრამის რეალიზაციის მიმდინარეობას ახასიათებენ.

#### ***V. პროგრამის მიმდინარეობის შეფასების მაჩვენებლები და მიზნობრივი ინდიკატორები***

პროგრამის მიმდინარეობის შესაფასებლად მაჩვენებლების და ინდიკატორების შერჩევას ვითვალისწინებთ მისაწვდომ და ჭეშმარიტ მონაცემებს.

პროგრამის რეალიზაციის სოციალური ეფექტი ფასდება შემდეგი მიმართულებით:

- საერთო განათლების ხარისხის ამაღლება;

მოსწავლეთა სწავლისას სოციალური ორიენტაციის და სოციალური თანასწორობის მიღწევა;

- საგნებში სტაბილური შედეგები (ერთიანი ეროვნული გამოცდების მიხედვით);
- მშობელთა მოთხოვნების სურვილისამებრ დამატებითი განათლების შესაძლებლობების გაფართოება;

სასკოლო განათლების კონკურენტუნარიანობა:

- განათლების ხარისხის ასამაღლებლად სხვა სკოლებთან თანამშრომლობის გაფართოება;





- საერთაშორისო გაცვლებში მონაწილე პედაგოგთა და მოსწავლეთა აკადემიური მობილურობის ზრდა;

განათლების დაფინანსების ეფექტურობის ზრდა;

- საგანმანათლებლო პროცესის მატერიალურ-სასწავლო ბაზის განახლება (განათლების დაფინანსების საერთო ჯამიდან სასწავლო ხარჯების გაზრდა, თანამედროვე მოთხოვნებისა და ნორმების შესაბამისი ლაბორატორიების, კომპიუტერული და ტექნოლოგიური ბაზების მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის ზრდა);

სკოლის მართვაში სოციალური თანამშრომლობის გაფართოება:

- სკოლის საზოგადოებრივ-სახელმწიფო მართვის განვითარება;
- სკოლის საგანმანათლებლო სივრცის საკითხების გადაწყვეტაში სამეურვეო საბჭოს წონის ზრდა.

**პროგრამის მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- ეროვნული გამოცდებით დადასტურებული შეფასების კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდა;
- რესპუბლიკურ, საქალაქო და რეგიონალურ ოლიმპიადებსა და კონკურსებში გამარჯვებულ მოსწავლეთა ზრდა;
- სკოლაში ეკოლოგიური განათლების წონის ზრდა;
- სკოლის საცდელ-ექსპერიმენტალურ და სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილე მოსწავლეთა ოდენობის ზრდა;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საქმეში სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის წონის ზრდა;
- აღმზრდელითი პრობლემის გადაჭრაში მშობელთა კომიტეტების წონის ზრდა;
- ადმინისტრაციასთან ურთიერთნდობის საფუძველზე მომუშავე პედაგოგთა ოდენობის ზრდა;
- მაღალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელთა ოდენობის ზრდა;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების გამოყენების მცოდნე მასწავლებელთა რაოდენობის ზრდა;
- იმ მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა, ვინც სისტემატურად ჩართულია ფიზიკურ კულტურასა და სპორტში;
- საგანმანათლებლო პროცესის სასწავლო-მატერიალური ბაზის განახლება (განათლების დაფინანსების საერთო ჯამიდან სასწავლო ხარჯების წონის გაზრდა, თანამედროვე მოთხოვნებისა და ნორმების შესაბამისად სასწავლო ლაბორატორიების, კომპიუტერების და ტექნოლოგიური ბაზის მქონე სასწავლო კაბინეტების რაოდენობრივი ზრდა);
- სკოლაში სანიტარულ-ეპიდემიური ღონისძიებათა 100% კონტროლის უზრუნველყოფა და შესრულება.



VI. სკოლის 2016–2022 წლების განვითარების პროგრამის ღონისძიებები.

1. განათლების შინაარსის სრულყოფა და ხარისხის ამაღლება

№	პროგრამის ღონისძიებები	შესრ. ვადა	შემსრულებელი	მოსალოდნელი შედეგები
1.	საგანმანათლებლო სტანდარტების და საგნობრივი პროგრამების დანერგვა–რეალიზაცია	მუდმი ვად	კათედრების ხელმძღვანელები	სწავლების ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლება, სასწავლო პროცესის ოპტიმიზაცია, მოსწავლეების მიერ საერთო განათლების ძირითადი მოთხოვნების და სასწავლო საქმიანობის პირობების გონივრული გაგება
3.	საგნების სწავლების თემატურ–საგაკვეთილო მოდელის დამუშავება	მუდმი ვად	ადმინისტრაცია	სასწავლო პროცესის ეფექტურობის და ხარისხის გაზრდა, თემის შესწავლის ყველა ეტაპზე. დამოუკიდებელი სამუშაოს და დროის თვითრეგულირების როლის გაზრდა.
4.	სკოლაში საგანმანათლებლო პროცესში თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვის ოპტიმიზაცია – პრობლემური სწავლება; – განვითარებითი სწავლება; – ერთდონობრივი სწავლება – პროექტებით სწავლების მეთოდები; – ლექციურ–სემინარულ–ჩათვლითი სწავლების სისტემა; – ჯანმრთელობის შემანარჩუნებელი ტექნოლოგიები; – ინოვაციური შეფასების სისტემა.	მუდმი ვად	დირექტორის მოადგილე	განათლების ხარისხის ამაღლება
